ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერია

საქართველო, ქ. გორი 1400, სტალინის გამზ. №16; ს/კ 218083767; ტელ: 0 (370) 27 73 88

№1805

08 --06-- 2016 წ.

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ ილია მეტრეველს

ბატონო ილია,

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია თქვენი 2016 წლის 4 მაისის და 2016 წლის 13 მაისის წერილები (N1125 და N1209), რომლებითაც ითხოვთ ინფორმაციას ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შტატგარეშე მოსამსახურეების ირაკლი ოქრუაშვილისა და რამაზ შარიქაძისთვის კუთვნილი ანაზღაურების მიცემის შესახებ.

მოგეხსენებათ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიამ წერილობით გაცნობათ, რომ საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 156-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მერიის და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო რაოდენობის 10 პროცენტს, რაც ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში შეადგენს 12.5-ს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გეთხოვათ გაგეთვალისწინებინათ, რომ "ირაკლი ოქრუაშვილის შტატგარეშე მოსამსახურედ - ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩევლად მიღების შესახებ" საკრებულოს თავმჯდომარის 2016 წლის 18 მარტის N23-013 ბრძანებით და "რამაზ შარიქაძესთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე" საკრებულოს თავმჯდომარის 2016 წლის 5 აპრილის N23-018 ბრძანებით დანიშნული პირები ზედმეტია ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის შტატგარეშე მოსამსახურეთა ზღვრულ რაოდენობასთან მიმართებაში. მითითებული გარემოებების გათვალისწინებით გეთხოვათ ბათილად გეცნოთ ეს ბრძანებები.

იმის გათვალისწინებით, რომ თქვენს მიერ არ იქნა გათვალისწინებული ზემოაღნიშნული გარემოებები და მითითებული ბრძანებების ბათილად ცნობა არ მომხდარა, გაცნობებთ, რომ უახლოეს დღეებში მოხდება აღნიშნული ბრძანებებით გათვალისწინებული სახელფასო სარგოების გაცემა.

პატივისცემით,

ქ.გორის მუნიციპალიტეტის მერი ზურაბ ჯირკველიშვილი